



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC

მერაბ ალექსიძის 10, თბილისი 0160, საქართველო
10 Merab Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia
T (+995 32) 220 65 20 F (+995 32) 220 65 19
info@gau.ge www.gau.ge

კურსკულუმი

ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა (ფაკულტეტი)

პროგრამის სახელწოდება

ინფორმატიკა (მულტიმედიური დიზაინი)

საფეხური

ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში

პროგრამის ხელმძღვანელი

ნინა კარბელაშვილი

პროგრამის მოცულობა

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს **240 კრედიტი** კვალიფიკაციის მისაღებად.

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას, დაგეგმოს საკუთარი პროფილი. პროგრამა შედგება სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტებისაგან.

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი.

წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 189 კრედიტს.

არჩევით კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 33 კრედიტს.

არჩევითი სასწავლო კომპონენტი შედგება სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისგან 120 კრედიტის მოცულობით, მათ შორის კონცენტრაცია-ინფორმაციული ტექნოლოგიები 24 კრედიტი, კონცენტრაცია-კომპოზიციის დიზაინი 27 კრედიტი, კონცენტრაცია-მენეჯმენტი 33 კრედიტი, არჩევითი უცხო ენა 6 კრედიტი და ზოგადი უნარების განსავითარებელ სასწავლო კურსებისაგან 30 კრედიტის მოცულობით.

თავისუფალი კომპონენტი მოიცავს 18 კრედიტს, რომლის დაგროვებაც სტუდენტს შეუძლია პროგრამის არჩევითი კომპონენტის ნაცვლად ინფორმატიკის და ინჟინერიის სკოლაში ან ქართულ-

ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

პროგრამა ითვალისწინებს **კვლევით კომპონენტსაც** (საკვალიფიკაციო პროექტი) 18 კრედიტის მოცულობით.

სწავლების ენა

ქართული და ინგლისური

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია გამოუმუშაოს სტუდენტებს:

- სისტემური შეხედულება სფეროზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, მათი შექმნისა და ანალიზის პროცესებზე;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების ძირითადი მეთოდების ცოდნა, ამ მეთოდების ფართო გამოყენება;
- პრაქტიკულ პროექტებში მონაწილეობის უნარ-ჩვევები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტენსიურად განვითარების გარემოში ადაპტირების უნარი;
- ფუნდამენტური და პრაქტიკული ცოდნა, სწრაფი ორიენტირების და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- პროგრამის მიზანია მომზადდეს სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება მულტიმედიური და ვებ პროექტების შექმნა, მართვა და გამოყენება სხვადასხვა ფიზიკური და საინჟინრო პროცესების მოდელირებაში, კომერციულ, სარეკლამო და მედია სფეროში, საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობაში;
- პროგრამა აგრეთვე მიზნად ისახავს მულტიმედიური და ვებ ტექნოლოგიების მართვის და გამოყენების უნარჩვევების გამომუშავებას ბიზნეს გარემოში, სამეცნიერო, საინჟინრო და ინოვაციურ საგანმანათლებლო გარემოში.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

დასაქმების სფერო

ინჟინერიის ბაკალავრის ინფორმატიკაში შეუძლია წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ ორგანიზაციაში, როგორცაა:

კომერციული, სახელმწიფო, სამეცნიერო, საინჟინრო, სარეკლამო, საგანმანათლებლო, საბანკო ან სხვა ორგანიზაციები.

ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში უპირატესად მომზადებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების, დიზაინის და მენეჯმენტის მეთოდების გამოყენებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა-გამოყენებისათვის. მას შეუძლია იმუშაოს შემდეგ პოზიციებზე: დაბალი და საშუალო დონის პროგრამისტ-დიზაინერი, დიზაინერ-მენეჯერი, პროგრამისტ-მენეჯერი, და სხვა.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

კომპიუტინგის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ალგორითმიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, დაპროგრამების ტექნოლოგიების, მულტიმედიური და ვებ ტექნოლოგიების თეორიებისა და პრინციპების ცოდნას; კომპიუტერული გრაფიკის, ანიმაციის და დაპროექტების ორ და სამგანზომილებიანი სისტემების ცოდნას და მათ კრიტიკულ გააზრებას; დიზაინის-ინჟინერიის კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; ზოგადი მენეჯმენტისა და მარკეტინგის, პროექტების მართვის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, შესაბამისი ტერმინოლოგიის ცოდნას; სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კომპიუტინგის სფეროსათვის დამახასიათებელი დაპროგრამების, დიზაინისა და მენეჯმენტის ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, პროგრამული(IT) პროექტების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

- საპროექტო ამოცანების ანალიზი და ინფორმაციის სისტემატიზაცია;
- პროგრამული პროდუქტის შექმნა;
- მულტიმედიური ინტერდისციპლინარული და საგანმანათლებლო ინტერაქტიული პროექტების შექმნა;
- სხვადასხვა ფიზიკური და საინჟინრო პროცესების 3D მოდელირება და ვიზუალიზაცია;
- ტექნოლოგიური პროცესების ანიმაციური მოდელირება;
- მულტიმედიური და ვებ პროექტების ვიზუალური დიზაინი;
- სხვადასხვა დარგში მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენების და დანერგვის ამოცანების შემოქმედებითად გადაწყვეტა;
- ორგანიზაციის საფირმო სტილის შექმნა;
- ფირმის ან პროექტის სარეკლამო რგოლის შექმნა;
- მულტიმედიური სალექციო და თვალსაჩინო მასალის დაპროექტება;
- პროექტისათვის საჭირო მასალის, გრაფიკული, აუდიო-ვიდეო, ტექსტური, კონცეპტუალური მონაცემების განსაზღვრის, შეგროვების, გაანალიზებისა და დამუშავების უნარი;
- პროექტის მიზნისა და ამოცანების ფორმულირების, შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრის უნარი;
- პროექტისათვის საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსების განსაზღვრის უნარი;
- ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- დიზაინის, დაპროექტების, დაპროგრამების პრობლემების გადასაწყვეტად ყველა შესაბამისი წყაროს მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;

-
- კომპლექსური დაპროგრამების და დიზაინის ამოცანების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დამოუკიდებლად მოქმედების უნარი.

დასკვნის უნარი

კომპიუტინგის/ინფორმატიკის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი

იდებებს, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე კომპიუტერული, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

სწავლის უნარი

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

ღირებულებები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ზოგადი პრინციპების, ეთიკური ნორმების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, გააზრება ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ზემოქმედების საზოგადოებაზე და იმ ეთიკური პრობლემების რაც მოყვება ამ ზემოქმედებას;
- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ევრისტიკული მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, ელექტრონული სწავლება, გონებრივი იერიში.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემისა და რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით:

დადებითი შეფასებები

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

(FX) ვერ ჩააბარა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტს უფლება აქვს დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე;

(F) ჩაიჭრა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია ახლიდან გაიაროს სასწავლო კურსი.

სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას.

სტუდენტი, რომელსაც დაგროვილი არ ექნება სავალდებულო მინიმალური ქულა (25), დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;

- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით;
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.